

საქართველო

ხელის მოწერა და დასრულება მიიღება „საქართველოს“ რედაქციის და კანტორაში ყოველდღე კვირა უწყვეტად გორაკის 9-მ-მდე, საღამოს 5-7-მდე.

ხელმოწერილი წერილები არ დაბეჭდებიან; დაუბეჭდავი მკითხველი წერილები და კორესპონდენციები სულ არ იბეჭდება; იბეჭდება ერთი თვის მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакция „Сакартвело“, поч. ящикъ № 67.

განცხადების წახი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტრიტი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამკლავიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან.,

4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) გლირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევაზე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვის—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ. მოვადგინებთ „ქლის“ იმ ხელის მოწერით, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გავეზავნებთ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: გ. თბილისი, რედაქცია „საქართველო“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სახვებს თბილისის ხელის მოწერით დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუყა.

გამოცდილი ზებია და მასაჟის მცოდნე რახიმ კალანდიაძე

ქ. ეკატერინოსლავის საბებიო სასწავლებლის კურს დამთავრებული. ნახვა შეიძლება დღის 8-9 1/2 საათამდე და საღამოს 4-8 საათ. უკეთეს აგრეთვე კანში წამალს და უცრის ჯვავილს. მისამართი: კიბინის შესახვევი № 12 0-2

ირ. ევდოშვილის

სრული კრებული ხელის მოწერით ღირს ორი მანეთი. მთელი შემოსავალი მგოსანს გადაეცემა. „საქართველოს“ რედაქციაში(მოსკოვის ქუჩა № 4) მიიღება ხელის მოწერა. 0-13

გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ღებულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებლისას. აგრეთვე ამზადებს ხელმისაწვდომ ფასებში, ვისაც განმეორებითი გამოცდა ექნება. შეიძლება სახლში მიწვევაც. მისამართი: კიბინის შესახვევი, სახლი 12, ოთახი 9. 0-12

თბილისი, 26 ივლისი.

ძმური სიტყვა და ძმური საქმე.

საქართველოს ცხოვრებაში ახალი ხანა სდგება, ხანა აღდგომისა, აღორძინებისა! ხანა ეროვნული იდეალის განმტკიცების, ეროვნული შეგნების გამეფებისა.

სამასი წლის წინად საქართველოს ხეულს ჩამოეჭრა საუკეთესო ნაწილი, სადაც პირველად გვიჩვენდა მისი კულტურა, სადაც ენა-მშვენიერად დიდებულნი შეიღწი საქართველოს, რუსთაველი შოთა, შავილი და ჩაბრახაძე, სადაც წარმოიშვნ და მოღვაწეობდნენ დიდებული მამები: გრიგოლ ხანძთელი, ევრემ მკირე, იოანე მთაწმინდელი, სადაც საქართველოს მაშინდელი მთლიანმა ეროვნულმა სარწმუნოებამ განიმტკიცა თვისი ბეჭენი და აღიგო მრავლის უმრავლესი ტაძარ-მონასტერი შეტყვევდა, ხანძთა, გუნათლესა, ზარზმასა, მერსა, უბესა, იშხანსა, ოპისსა, ხახულსა და სხვა-გან და სხვაგან, ეს უკუნისამდე უქრობნი მოწმენი ქართულის ხუროთმოძღვრულის შემოქმედების უზენაესობისა, მსოფლიოს ხუროთმოძღვრულ სანიმუშო ნაშთთა და ძეგლთა შორის საქართველოს უნოიანი სულის თვალისმოპყრელი კრთომა! სამასი წლის წინად ჩამოსტყვევდა საქართველოს მხარე ფერადი, სადაც აღმართულან „მწვერვალნი ფიცხელნი“ ცივის ჰავითა, სადაც ჰყავის და იფურჩქნება სათუთი ფორთოხალი, ზეთისხილი, მანდარინი, ჩის ბუჩქი... სამასი წლის წინად ჩამოსტყვევდა და დაეკარგა საქართველოს ეს მხარე ედემი სულიან-ხორციანა; შემცირდა რიცხვი ქართველთა, ერის კოლექტიური ენერჯისა და შემოქმედების დიდი ფაქტორი. ჯამი ეროვნული ძალისა მიილია.

იკრუნჩხებოდა ცალკედ დედა-სხეულს ჩამოკრული ნაწილი საქართველოს, მიმღები მაჰმადის რჯულისა.

იტანჯებოდა ცალკედ დარჩენილი ხეობარი სხეული დედა-სამშობლოსი. და ამ ტანჯვასა და ვაგებაში ვიღობა ბედისგან ბევრჯერ დამარცხებული და ბედისა ბევრჯერ დამამარცხებელი სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველო, ნაწილები ერთის მთელისა; და გათიშული სიარულითა მოაღწიეს დღემდე, როდესაც მსოფლიო ომის აღში ორთავემ იხილა სიმბოლო დიდი იმედისა გაერთიანების! სამასი წლის განმავლობაში პირველად გაუყარეს თვალითა და გული გულს, სრულის შეგნებით გაუწოდეს ხელი პირველად დახმარების ერთი მეორეს.

დღეა საქართველომ იცნო თავი თვისი, იცნო თავისი ღვიძლი ნაწილი და აღიძრა მისდა შემოსაერთებლად სულიერად და ნივთიერად. ეს ეროვნული მმართველი იდეის გამარჯვების წელიწადია!

ბედნიერი იყოს იგი. დღევანდელი დღე, 26 ივლისი, ისტორიული დღეა; 26 ივლისი გონიერი შედგომის, წარსულის ხილვისა და მოფიქრებული მომავლის ძებნის დღეა.

დღეს პირველად გამოდის „ძმური სიტყვა“, რომელიც მიძღვნილია მაჰმადიან მოძმეთადმი. ფურცელი ესე შეზავებულია ქართველის იღუმალ ზრახვითა, მასთან მისი შეერთების ზრახვითა. ფურცელი ესე ნაკანახვევია მტკიცე ეროვნული ნებისყოფითა. ეს არის კარის პირველი შედეგა სამაჰმადიანო საქართველოში, სადაც ცოცხლებთან ერთად ჩვენი საერთო წინაპართა ძვლებიც სიყვარულით და აღტაცებით ჩავიხუტებენ. მაშ მაჰმადიანო და ქრისტიანო ქართველებო ვიაროთ ამ გზაზე, ძმურის სიტყვით და ძმურის საქმით!

თვითგონი, მიმღები მაჰმადის რჯულისა.

იტანჯებოდა ცალკედ დარჩენილი ხეობარი სხეული დედა-სამშობლოსი. და ამ ტანჯვასა და ვაგებაში ვიღობა ბედისგან ბევრჯერ დამარცხებული და ბედისა ბევრჯერ დამამარცხებელი სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველო, ნაწილები ერთის მთელისა; და გათიშული სიარულითა მოაღწიეს დღემდე, როდესაც მსოფლიო ომის აღში ორთავემ იხილა სიმბოლო დიდი იმედისა გაერთიანების! სამასი წლის განმავლობაში პირველად გაუყარეს თვალითა და გული გულს, სრულის შეგნებით გაუწოდეს ხელი პირველად დახმარების ერთი მეორეს.

დღეა საქართველომ იცნო თავი თვისი, იცნო თავისი ღვიძლი ნაწილი და აღიძრა მისდა შემოსაერთებლად სულიერად და ნივთიერად. ეს ეროვნული მმართველი იდეის გამარჯვების წელიწადია!

ბედნიერი იყოს იგი. დღევანდელი დღე, 26 ივლისი, ისტორიული დღეა; 26 ივლისი გონიერი შედგომის, წარსულის ხილვისა და მოფიქრებული მომავლის ძებნის დღეა.

დღეს პირველად გამოდის „ძმური სიტყვა“, რომელიც მიძღვნილია მაჰმადიან მოძმეთადმი. ფურცელი ესე შეზავებულია ქართველის იღუმალ ზრახვითა, მასთან მისი შეერთების ზრახვითა. ფურცელი ესე ნაკანახვევია მტკიცე ეროვნული ნებისყოფითა. ეს არის კარის პირველი შედეგა სამაჰმადიანო საქართველოში, სადაც ცოცხლებთან ერთად ჩვენი საერთო წინაპართა ძვლებიც სიყვარულით და აღტაცებით ჩავიხუტებენ. მაშ მაჰმადიანო და ქრისტიანო ქართველებო ვიაროთ ამ გზაზე, ძმურის სიტყვით და ძმურის საქმით!

ღებების პოზიციებს. დიდი ზარალით უკუვაგდეთ ოსმალების იერიში შაიდაგის მთაზე. სარაყამის მიმართულებით ხაარტილერო ბრძოლა სწარმოებს, ჩვენ ჯერ-ჯერობით ვიკავებთ წინა-დღით წართმეულ ოსმალების პოზიციებს. დანარჩენ ფრონტზედ შეტაკება არსად მომხდარა.

პატრონბრადი, 23 ივლ. ოფიციალი. გენერალშტაბის უმთავრეს შტაბისაგან. ვენიდან 20 ივლისს (ძველი სტილით) მიღებულ ცნობებში ნათქვამია, რომ ტრანსილვანიის ჯარებმა დაიპყრეს ივანგოროდის წინა მდებარე პოზიცია სატუსალოვებით, და ავსტრიელ ჯარებს შეუძლიათ ეს დღე ერთმნიშვნელოვან-თაგან დღეთ აღიარონ თავიანთ ისტორიაში.

ავსტრიის გენერალშტაბის ამ განცხადების შესახებ საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ივანგოროდის სიმაგრეები ავრით არის ნაშენი და სრულებით არ შეეფერება თანამედროვე ფორტიფიკაციის მოთხოვნილებათ და შარშან ოქტომბერშიც მოგერიება ციხის წიე ამართულ სიმაგრეებთან სწარმოებდა. ესლა კი, რადგან ივანგოროდს აღარ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, ამითომ ის სახეებით დასცავენ. ჩვენი ჯარი რამდენიმე დღის განმავლობაში აწერებდა ჯარის ივანგოროდის სიმაგრეების წინ, მაგრამ ამას სტრატეგიული მოსაზრება მოითხოვდა, მაგრამ მწვავე ბრძოლა სრულებით არა მომხდარა; ხოლო 22 ივლისს, საერთო მოქმედების გეგმის თანახმად, ჩვენმა ჯარების უკანა რაზმებმა ააფეთქეს მრავალი ბეტონის ხიდი და სიმაგრენი და დაიხიეს ვისლის მარჯვენა მხარეზე.

პატრონბრადი, 24 ივლ. ოფიციალი. დგინისა და ნემანის შუა არხებითი ცვლილება არ მომხდარა. 23 ივლისს გერმანელებმა იერიში მიიტანეს მდინარე პისის სათავეს რაიონში მყოფ რუსის ჯარზე, მაგრამ უკუვადებულ იქმნენ. ნარევის მარცხენა ნაპირზე დამთ 23 ივლისს და მეორე დღის განმავლობაში სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა როუანიდან ოსტროლენკა-ოსტროვისკენ მიმავალ გზებზე. რუსებმა რამდენიმე ენერგიული კონტრ-იერიშებით შეაჩერეს გერმანელების წინსვლა ათი ვერსის მანძილზე ხსენებულ მდინარესთან და რამდენიმე ასეული ჯარისკაცი წამოიყვანეს ტყვედ. ვისლის შუა ნაპირზე რუსთა ჯარების წამოვლის შემდეგ სრული სიწყნარე ჩამოვარდა. ვარშავა დავტოვეთ, რათა დანგრევა ავგვიცლებინა. მხოლოდ მაცვიცეს რაიონში გერმანელები ამაოდ სცდილობდნენ თავიანთ მოქმედების გაფართოებას. ვისლისა და ბუგის შუა ბრძოლაში რაოდენადმე მკაცრი ხასიათი მიიღო 23 ივლისს ტრავნიკა-ვოლოდავის გზატკეცილზე, სადაც გერმანელებმა დიდძალჯარს მოუყარეს თავი და ძლიერი არტილერიის ცეცხლით აიძულეს რუსის ჯარები რაოდენადმე ჩრდილოეთით დაეწიათ. ბუგის მარჯვენა ნაპირზე, ზოლოტოი ლიპაზე და დნებტრზე მდგომარეობა უცვლელია.

მეუღლე ელისაბედი მზეხა, შეიღებთ, ლეო, თამარ, ძმა მღვდელი ლუკა, დები ჟიფო, ბაბილინა, როდები ნატალია, ანტონინა, სალომე, შეიღებთ შეიღებთ შუშანიკა, ნინა, დარეჯანა, არჩილი, სიძეები ნესტორ ემაძე, ვარლამ იმნაძე, მასიკო არაბელიძე. მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა

ვასილი სოფრომის კე სუნდაკე

დაკრძალვა მოხდება 28 ივლისს, ოზურგეთში, ეკალიის ეკლესიის სასაფლაოზე.

ახალი კლუბი

ერთი კვირის პარობაგამ 27 ივლისიდან 2 აგვისტომდე.

ორშაბათი—ოპერა.

სამშაბათი—სიმფონიური კონცერტი. კომპოზიტორი თავისუფალი მხატვარი პეტროვადის კონსერვატორიისა ლ-ი. სამისსკის ლობტარობით, მონაწილეობას მიიღებენ სოლისტი-ვიოლინისტი პ. ბენდიკი, კონცერტზე დასწრება უფასოა.

ოთხშაბათი—სიმფონიური კონცერტი. სეანსის, შემდეგ დიდი ორკესტრი დაუკრავს ბალში.

ხუთშაბათი—ქართული წარმოდგენა. თეატრში შესვლა უფასოა, ბალში სამხედრო ორკესტრი დაუკრავს.

პარასკევი—სინემატოგრაფი. სეანსის, შემდეგ დიდი ორკესტრი დაუკრავს ბალში.

შაბათი—სიმფონიური კონცერტი. მონაწილეობას მიიღებენ მომღერალი ი. პ. სარაჯიშვილი ივ. პ. ფალიაშვილის ლობტარობით, კონცერტზე შესვლა უფასოა.

კვირას—საბავშვო საღამო—სეირნობა სეანსებზე ბავშვებისათვის „ფოქსნიკი“—გ. ვახლოუსის მიერ, ბალში სამხედრო ორკესტრი დაუკრავს.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე, წარმოდგენა და კონცერტებისა 9 საათზე, საბავშვო საღამო 5-დან 9 საათამდე.

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხილან ჩვეულებრივ ფასს.

იმ საფინელ ცაცხვის გამო, რომელმაც იმსხვირკვა ქართული თეატრი და თავად-აწარმოების სხვა შემოგები, დროებით დაკაბილი

„კაფე პარიზი“

გაიხსნა წინააღმდეგ შემთხვევაში, სასახლის ქ. თ.-აწ. ქარაგულაში, იგი გამწმენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენური საკმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მუდრო ბალი, სანარდ და საბილიარდა განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილულობის წყალი, ნაყინი, დამი, საცივი და ყოველგვარი იმერული საკმელები. თვიურ მისადილეთ დიდი შეღავათი.

პატივისცემით დ. გიგიბერია.

პირველხარისხოვანი სასადილო „კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

ჰაზა, ყოველგვარი ძხელ-ცხელი საუშემ დილის 9 საათიდან 12 საათამდე. საღამო 1-6 საათამდე. სადილი 2, 3 და 4 თაიანი. აგრეთვე ჩვენებური საკმელები: ხარჩო, ლომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროგუკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე. პატივისცემით რაუდენ იახელიანი.

დ. მ. რ. ში

ქეიგი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულბიან ავადმყოფებს. აკაის ქუჩა, შეფის ავთიკთან

დოქტორი მელიციონისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულბიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის ავარკში.

გაღწერას სწერ მანაანის

საზავლაბით და საწარ განაგანაზე

მუშაობის სწავლაბას

ხელმისაწვდომ ფასებში ჰქისრულობს

ი. თ. გვათუას პანსტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17-05

ქილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9-2 ს. და საღ. 5-7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კიბინის შესახვევის 21.

ომის დღიური

დეკემბერი

თბილისი, 24 ივლისი. კავკას. ჯარის შტაბისაგან. 22 ივლ. ზღვისპირა რაიონში ჩვეულებრივი სროლა სწარმოებდა. ჩვენმა მატორიანმა ნავმა ვიცესთან ტყვიის მფრქვევლით სროლა აუტანა მოწინააღმდეგეთა ჯარის ნაწილს. ოლთის მიმართულებით ჩვენ კვლავ ვიკავებთ წინააღმდეგ წართმეულ ოსმა-

სახელმწიფო სათათბირო 19 ივლისს.

თ ა მ ს ჯ ა რ ი

1108

იქვე სტუმრებს-კი ნამ-
ისი გაემართათ, ხარობდ-
ნის ძელით, სკოცადენდ და
ხორცი დიდი ხანია ჩამოედ-
ს. ამ ყოფაში განვლო დიდ-
დამიანმა დაკარგა სასოება
ალარაფერი აღარ სჯეროდა,
ნი გაბოროტებით მივინ-

კადა ღმერთმა კაცი:
დის მიადრევეს ჩემი

ანა კვლავ გაიარა
ლოდ კაცის ხორცს
ითქოს ამან მოუღობო
წარმოუღონათ ცით
ბელი მცენარეთა, ამა-
დორ ველთა, დამამებელი
ლის. ნამს წვიმა მოჰყვა უუ-
რ, ხანგრძლივი ნელა შეისვა
ინესტე. შემდეგ ნაზმა მზემ,
ლოთ გაუღიზიანა ნერვები არა-
ვლე ხე-ტყეს, მინდორ ველს და
დილ აღამიანს. მწვანე ბალახმა
აიწყო თავი.

უპ რამდენი საუკუნეა რაც მიძინება,
უპ, უპ ნიაფი შენი ჭირიმე გამიგრილვე
ამდენის ხნის ნამძინარევი შუბლი, სახე
ჩამომბანე მარგალიტის ცვარ ნამო ეგ-
რემც თავს შემოგვევლე.— შესახა ბალახ-
მა, შეიშუშნა, შეინძრა... ერთი კიდევ
ერთი კიდევ გადავაღვე ეგ უკვდავების
აიაზმა ტანზე, შევსრა ტანი ჯერ კიდევ
მაგრად შემომქობინა მიწა და არ მი-
შვებს მაღლა,— შესთხოვა განზე მიმავალ
ახლად შობილ მოლიკლიკე წყაროს, და
კვლავ წვიმა ჰბანდა ნელა ჰქვეყნას...

აქა იქ დარჩენილი ხალხი ჭიასავით
გამოლონილიდნენ, მსხვილი სარგებით
უწყეს მიწას ჩიჩქა. ქვეყანა დიდა და
კეთილი ხალხიც სცხოვრობს შიგ, რაკი
ამდენმა ხელი შეუწყუთ თესლიც საიდ-
ღანაც გაჩნდა. კეთილმა მტრედმა თუ
მიუტანათ მშობრი და კვლავ აბიბინდა
ჯეჯილები; პირველ მოსავალს უნახეს
პირი, მეორე უფრო კარგი იყო, მესა-
მეთ-კი გასძდა ქვეყანა. ცხოვრება ძველ
კალაპოტში ჩადგა და თავისი გზით იწ-
ყო დენა, ყველა დამშვიდდა და თავისი
საქმე ნახა, სოფელმა მხოლოდ ესლა
შენიშნა დიდ შარზე გულ გამორღონილ
მუხის ღრუში რომ ბინადრობდა ვიღაც
საკოდავი დედაკაცი შუშლილს, სახე
ალონდულს არაფერი არ ახარებდა, არც
მოსავალი, არც მისი მწონელობა, ის
ისევ ისე განაგრძობდა ხეების ღრუნას,
ფესვების ძებნას, მთელი დღე ეხეტებო-
და ტყე-ღრუში, თმა ჩამოეწვილი მიუჯ-
დებოდა წყაროს, ყურს უდებდა მის
ჩქეფას, შუბლზე თითს მიიდებდა, რაღა-



დეკლარაცია ერთა წარმომადგენლებისა.
გამოხაცნობი სურათი: იპოვეთ ქართველი დეპუტატები.



ბუდე გერმანიის ძლიერებისა. ზარბაზნების ქარხანა განთქმულ
კრუბისა ქალ. ეხენში.



მოხამართლე მ. კოვალევსკი: რას იტყვით თავის გასამართლებლად?
ბრალდებული ჩალხუშინი: სთქვით, „სანამ სულიერი სიმშვიდე არ დაე-
კარგეთ“.
ბრალდებული საქართველოს ვეკილი „სახალხო ფურცელი“: ღმერთი,
რჯული, ჩვენ და სომხებს გასაყოფი არაფერი გვაქვს... შევივლით!!

საც ივონებდა, ათასი რამ ზნე სჭირდა.
განსაკუთრებით შარათ გავლილ ცხენოს-
ნებს აედევნებოდა და მისძახოდა.
— მაღლიანებო, რა უყავით, აღარ
მომიყვანთ? შემდეგ შესდგებოდა და კი-
დევე ივონებდა.
— ახ ნეტა კი მომავონა, იტყოდა
შეწუხებული, ნაღვლიანად მოავლებდა
თვალს ირგვლივ და გასწევდა თავის
ბინაზე, მუხის გულში, ხმელ თივაზე
წევბოდა. ხალხი შეეჩვია ძველი მუხა
უიმედედაცოდ ვერც-კი, წარმოედგინათ.
ისე ეგონათ ასე იყო და ასევე უნდა
იყოს ყოველთვისინათ. არვინ იცოდა
ვინ იყო და სადაური.

ხალხმა დაივიწყა განვლილი ტანჯვა,
კვლავ მომრავლდნენ, სოფლები გაშენ-
და, გზები შეკეთდა, მგზავრებმა იწყეს
დენა, მიმოსვლა გახშირდა.

მ. გარყუელი.
(დასასრული იქნება)

გ ა ა ს ი
XV

ქვეყანაი ტურუხანისა და... „ხალხი“.
რუსეთის ერთი დიდი მადლობელი უნდა
იყვეს ქართლ-კახეთის დაპუტატ ნ. ს.

ჩხეიძისა. ამ მხნე კაცის წყალობით იგი
იქნეს გეოგრაფიულსა და ეთნოგრაფიულ
კოდნას თვისის უზარმაზარ და თვალ-
შეწვდენელ სამშობლოს ერთის კუთხი-
სას. ნიკოლოზ სვიმონის ძე რომ არ
ავგერჩია ქართლ-კახეთის დეპუტატად,
გაგვეწეროდა ღმერთი და მის მაგიერ
სათათბიროს საეპიტელზე დაგვესკუბენა
ლუარსად ანდრონიკაშვილი, მაშინ რა
ეშველებოდა რუსეთს, ვინ მიაწვდიდა
საქიროა ცნობებს ტურუხანისას.
ალბად მოგეხსენებათ, რომ ტურუხანი
ერთი შორეული და დაწყველილი კუ-
თხეა ციმბირისა. ამ ბოლო ხანებში
მთავრობამ კეთილის თვლით დაუწყო
ცქერა ტურუხანს და საცხოვრებლად
ბლომად ისტუმრებს ხოლმე იქით შიდა
რუსეთიდან ურჩ მოქალაქეთა და სხვა-
თა შორის ნ. ს. ჩხეიძის თანამოაზრეებს.

საც
როდ-
აი დღეს
ლორ-ქაშმა მოიტანა და ბურცევი გაუნ-
თავისუფლებიათ. იქნებ იმასაც მოგესწ-
როთ, რომ უდანაშაულოდ დასჯილი
დეპუტატები დააბრუნონ. მილიუკოვის
ნალაპარაკებიდან სჩანს, რომ ეს ასე იქ-
ნება. მაგრამ ბ-ნს ჩხეიძეს გული არ უთ-

მენდა და დრო გამოშვებით აუწყებდა
ხოლმე საზოგადოებას ტურუხანის ამბებს.
ეს ყველა კარგი, მაგრამ ჩვენ ქართველ-
კახელებს რა? „ქართველმა ხალხმა აირ-
ჩიაო“.. ბრძანებს დასური გაზეთი. ძალიან
კარგი. თუ წყუღულ, თოვლიან-ყინულიან
ტურუხანეში დროებით მცხოვრებთ ნუ-
გეში უნდა, განა ჩვენ-კი გავწყენს მად-
ლიანი დეპუტატისა? განა ჩვენ-კი ყელ-
თამდის ვართ მოყრილი ბედნიერებით
და ნაზუქის სული გვახრჩობს, ან ია-ვარ-
დის სუნით ვიბნიდებით? თუ ხალხზე
მიდგა საქმე, აქაც ხომია ხალხი, ხოლო
იმ განსხვავებით რომ ტურუხანაში, დრო-
ებითაა მოთავსებული, აქ-კი მკვიდრად
საქიროა ისიც ვიცოდეთ, რას ჰნიშ-
ნავს სიტყვა „ხალხი“. იგიც ისეთივე
სიტყვაა, როგორც კაცი, ქალი. ფეტიში
ხომ არ არის, რომ მის წინაშე მუხს
ვიყრიდეთ და სანთელ-საქმელს ვუკმე-
დეთ.
აბა მოვიგონოთ წარსული არჩენები.
თბილისის გუბერნიის მიენიჭა კანონით
უფლება აირჩიოს 57 ამომრჩეველი, რო-
მელნიც საგუბერნიო კრებაზე ირჩევენ
ერთს დეპუტატს. ამ ორმოცდა ცამეტ
ამომრჩევიდან 29-ს ირჩევენ დიდ და
პატარა მამულიანი მესაკუთრენი, 12-ს
გლეხობა, 14-ს მოქალაქენი, 2-ს მუშანი,

ჩვენებური გლეხობა წერილი მოსაკუთ-
რეა და არაფრით განირჩევა წერილ-ფე-
ხა აზნაურობისაგან. „პსიხიკას“ თუ გვერ-
დზე მივადგებთ, დავინახავთ, რომ თით-
ქმის სამოცი პროცენტზე აზნაურობისა
გლეხობასთან ფეხს ვერ გასკიმავეს თა-
ვის მამულიანობით. თუთხმეტი ხმა აქვთ
მოქალაქეთ. ესენი ჩვეულებრივ ითვლე-
ბიან კაპიტალის წარმომადგენლად, თუმ-
ცა მრავალი მათში ღარიბი მოქალაქე-
ხელოსანი.
ახლა ვიკითხოთ, ვინ გაათეთრა ნ. ს.
ჩხეიძე? ჩვენზე უკეთ დასურმა გაზეთმა
იცის, ვინ ჩაუყარა ყუთში ჩხეიძეს თეთ-
რი კენჭი. დასამალი აქ რა არის, ან
რად რცხვენიათ ამის თქმა და რაღაც
„ხალხის“ ხელზე დახვევა. თუ არსაკ ბა-
ბოვი და ალ. ხატისოვი ხალხია, მე ქვე-
მოზე ხელის მომწერელი, რატომ არა
ვარ ღირსი ამ სახელისა? რითი მგობიან
ან არსაკი, ან ოკროპირი ხატისოვი? ჯა-
ვანებიდან ორი დიდი მემამულე იყო.
ბეგმა შავი უძღვნა ჩხეიძეს, ხოლო მეო-
რე მემამულე სომეხმა თეთრი. რატომ
ბეგი ფალავანდოვილი არ მოჰყვა საპა-
ტიო სიაში და ქანანოვი-კი ღირსი გახ-
და „ხალხად“ წოდებისა?
ა...ლი.

ლომარანიდი. (კვიად).
შაქარით მაგრა...
იგი მას უყვარს! მისი თავი აქ მომიტანეთ!
იმ ორ რაინდსაც მოკლე ხანში ბოლოს მოუღებთ,
რომელთ იმედით კვლავ სულდგმულებს ქალი ამაყი!
(შეგოქილი ქართლო რამდენსამე დარაჯს გაჰყავს.
უკან ვეზირი მისდევს).

V ივინივე ქართლოს და ვეზირის გარდა.

ლომარანიდი. რატომ აღარ მთხოვე, ვაბატო სიკვდილით დასჯა?
ივერიკო. (სვეტზე მიკრული. თვალზე აპყრობილი).
შენთან, მტარვალო, აღარაფრის ახსოვნა აღარ მურს.
აღარც არაფერს ჩემი ერთი შენგან მოითხოვს.
თვისი იმედი თვით ექნება—არა გარეშის!
და თუ აღდგება, თვით აღდგება და არა სხვისით!
მეც განმიძაღებ ამ სხეულის ტანჯვა-წამებას,
მაგრამ ვერ მოსტებს ჩემს ამას სულს! ყველას ავიტან,
ყველას გარდვიტან მოთმინებით და შენ კი გეტყვი:
დღეს გეტუხარ, გეტუხარ შენ მტარვალო მეც და ჩემს
ერსაც!

ლომარანიდი. მე შენს სიძულვილს გარდავაქცევ ტკბილ სიყვა-
რულად,
ხოლო იმ შენის ერისას კი—ნაკლებ დავეტებ!
მას აღარ ძალუძს სიძულვილი, არც სიყვარული,
იგი მოსპობს არის—
ივერიკო. (შკატრად) მკრებელი!
მზის შვილ... მ, ვით ვერ მოსპობ მზის ცხოველ
სხივებს!
ფალს კვლავ დაიბრუნებს!

ვეზირი.

ემ დაეცემა).
ვა მიგვეყვოდა,
შემოაწვევითა
არდაქცია.
ა თავს უშველო!
გვნახავთ!

შედო!

იოს!—

(ვეზირი მუდარით შეჰხედავს, ღონა მრისხანედ გაუ-
შტერებს თვლებს ვეზირი უხმოდ გადის).
ვილა დავიდო დღის. შემდეგ? ვის შევიწყნარებ?
ჩქარა მღვეარი! (გადის. უკან მისდევს დედა და სხვები).

VII ივერიკო და მხევალი ქალი, შემდეგ ხმა განთიადისა.

ივერიკო. მზეო, მზეო! აწ დაბორკილი
შენი ასული შემოგვედრებს მწუხარე გულით,
კვლავ გადმოჰხვდო ჩემს საყვარელ ერს ნათლის თვლით!
მხევალი. (ივერიკოს ფერხითი ჩაუვარდება ტირილით).
ო, საყვარელო დედაფალო! ნეტამც შემეძლოს,
რომ შენს მაგიერ გარდვიტანო მიძიმე წამება.
შენ მაგ სასჯელსა, ჩემო ტკბილო, არ ხარ ჩვეული!
მე კარგად გიცნობ, საყვარელო, ო, დედაფალო!
ნეტამც მე ვიყო შენს მაგიერ სვეტზე მიკრული,
რომ ცივი წვეთი თავსა ჩემსა ზედ დამდიოდეს!
ივერიკო. ვინ ხარ, ასული? ასე რიგად ჩემთვის რად სწუხარო?
მხევალი. შენის ქვეყნისა, შეპყრობილი ივერიელი!
ერთ-ერთ ბრძოლაში მომიტაცეს და აქ მამყოფეს,
რომ მე უბედურს აწ მეშინია შენის ტანჯვისთვის
და შეძლება კი არ მქონოდა რამე მეშველნა!
ო, რატომ შენებრ მეც ურჩობა არ გაუწიე,
რომ ჩემი გული გაესრისნათ და ამ დღეში კი
შენ არ მენახე, საყვარელო ერის იმედო!

ივერიკო. იყუჩე, დაო!
მხევალი. აწ იმას ვშიშობ, დედაფალო, უარეს ტანჯვას
განგიზაბდებენ—სასტიკია დიდი ბატონი—
გული მიკვდება შენს მაგიერ, ძვირსანატრელო!

ივერიკო. ჩვენთავანს უნდა ეშინოდეს განა ტანჯვისა?
ყველას გაუძლებ, სხვის საჯიჯვანად კი არ გავხდები!
ყველას ავიტან და ჩემს ერს კი შევუნარჩუნებ
სპეტაკის სულის სიამაყეს და სიდიადეს!
ჩუ! ვინა ჰკოადებს? ვინ მიძახის? ვისი ხმა ისმის?
(დიდხანს ისმის გარედ მეტად ყრუდ გაბმული კენე-
სა და გოდების მოთქმის ხმა).

აბა, ლამაზო, გაიხედ, გარედ ვინ სტირის?
მხევალი. (სარკმლიდან იყურება).
გარედ უცნობი ასული სდგას მთლად დათალხული!
ივერიკო. ჩემო დობილო განთიადო! შენ უნდა იყო!
მხევალი. სურა უჭირავს!
განთიადის ხმა. ცრემლები მომაქვს, ივერიკო, შენის ერისა
და ეს გოდებაც შენს ერს ჰხდება გულის სიღრმიდან!

დაობლებული შენ დაგეძებს და ვეღარ გპოვებს...
ივერიკო. (კენესით)
ო, სულა ჩემო!

VIII ივინივე და ღონა ვეზირით.

ლომარანიდი. (შემოდის გაბოროტებული. უკან ვეზირი მოსდევს).
გატყუე! ჯავრს თქვენზე ვიყრი!
წადი უბრძანე, ხმლით აკურწონ ყველა დარაჯი!—
მოიცა! მოთხარ, რად ვერ ჰხდება ჩემი სურვილი?—
მიხანს ვერ მივსწვდი! უნდა მივსწვდე! უნდა აღსრულდეს!!
ჩემთან ახლოა და რად დამჩრებს მიუწვდომელი?
სიბრავე მახრჩობს!—თავს მოვისპობ, ყველაფერს მოვსპობ!
(ივერიკოს უმზერს, შემდეგ მისკენ გაეჭიანება ხანჯალ
ამოღებული, მაგრამ თითქოს ხელი ჰკრესო ისევ
უკან შესდგება. შელონებული ტახტზე დევნობა.
ვეზირი ააყენებს, მკერდზე მიიყდრნობს და აბრუნებს.
სიჩუმის შემდეგ.)
აწ აღარ ვიცი, ჩემს თავს ვტანჯავ, თუ ამ ურჩ გოგოს,
(უმზერს).
ასე თამამად და ამაყად რომ გადმომცქერის?
მოიტათ ქანჩი, მოუჭირეთ მის თლილსა თითებს!
ეკლის გვირგვინი თავს დაადგით! სისხლი აღინეთ!
თუ კვლავ გაკერბდა, გახურებულ რკინის შანთებით
ნორჩნი ძუძუნი დაუდაღეთ! ნემსით დაჩხვლიტეთ!
ამოაგლიჯეთ ენა ძირში! დასახიჩრეთ!
(დაქანცული, მოწყვეტილი, ხელის გაწვდით).
ასე გათენდეს! კვლავ დაღამდეს დრო წამებისა,
ვიდრე არა სთქვას: სულით, ხორციტ გმორჩილებიო!
(ვეზირები გარს ეხვევიან და ბრაზისგან გულშელო-
ნებულს აბრუნებენ).

ივერიკო. (სასოებით).
მზეო ნათელო გადმოჰხედ ჩემს ერს საყვარელს!

ფარდა

(შემდეგი იქნება)

მხატვრის ვ. სიდაძის-ერისთავის ალბომიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



გურული.



ქართველი რაზმელები პოზიციებზე.



გურული ქალი

ვ ა შ ა ს

მთის შვილო, მთისებრ მალალო, მტკიცეო, ლალო ზვიადო, გაჯადი, ხენს არ შეუდრკე, სევდა არ გაგვიდალო! კვლავ მოგვასმინე შენი ხმა არ ნართაულად—ლიალო. აშკარად თქმისა ჟამია— წავიდა რახვამიადო. მწუხრის მწუხარე ვალობას შეუტკბე საგანთადო, გვიმხარობლე აღდგომა, წარგვიძღვე ლიტანიადო!.. მარხვა ხომ ხანგრძლივ ვიგემეთ, მსხვერპლი შეგწირეთ ფრიადო; სისხლით და ცრემლით განვებანეთ თუ რაც ბრალგვედო ძნადო...

ლ. წულაძე.

გ ა შ ი ნ ა ტ

(ეპიგრაფი)

გაგარეგარებული შვე ურმის თვლივით მიჭკორავდა გუმბათად გადმოხურულ ცაზე, ახურებდა და სწვავდა ქვეყანას, საწყალ ღვინავიას ბული ასდიოდა, პირ-გამწრალი მძიმეთ ქშინავდა. —წყალი, ერთი წვეთი წყალი!— თხოულობდა ის, მაგრამ ვინ იყო გამ-კითხავი? მოწყვნილ ხეებს არ ესმოდათ ღვინავის ვედრება, მათაც გული უღონ-

ი ვ ე რ ი კ ო

ღრამა ხუთ მოქმედებად *)

სანდრო შანშიაშვილისა

მოკვლევა მართხა.

ივერიკო. (მწუხარე ხმით, მოგონებით შეპყრობილი). სამშობლოში კვლავ დამბარუნე! მიჩვენე კვლავ ჩემი ერი, ჩემი ბუნება, რომ კვლავ ვისუნთქო მე ჰაერი ნაისყავური, ვიგემო ჩემის სამშობლოსი ჰიერი და ღვინა! ლომარაინდი. ჯერ ეს წყველი გული მოჰკალ, რომელს უყვარხარ და სამშობლოში, სანუკველო, მერე დაბარუნდი! ლომას დედა. როგორ? ამ ამავს მაგრე რიგად ესაუბრები? და კიდევ მისთვის თავს გასულა! ქალს უნდა შოში, არა მუდარა! ივერიკო. რასაც გაჰხდით თქვენის მუდარით, მასვე გაჰხდებით თქვენის შიშით, თქვენის მუქარით! ლომას დედა. ნუ აღდევნებ ჩემს სიბრაზეს, აწ მიუუჩებულს, თორემ საზღვარი არ ექნება ჩემს სისასტიკეს! ივერიკო. (აღრემლებულის ხმით). რა გინდათ ჩემგან? ო, რა გინდათ! (მიუბრუნდება და ცივად) მე კარგად გიცნობ, დედაცაო! ვიცნობ შენს შვილსაც! ორივეს გიდგათ ერთი სისხლი და შეგიძლიათ ერთგვარი რისხვა დამატებით თქვენ დატყვევებულს, ანუ წამება განმომზადოთ—რა ძალა შემწევს სუსტს, უმიჯნურს, დატყვევებულს—ყველას მოვაკლდი, მაგრამ მე მაინც თქვენს წინაშე ქედს არ მოვიხრი, მარად დავრჩები სულით ჩემით თავისუფალი და სიკვდილამდე ამ ცოცხალ გულს ის ეყვარება, ვინც მას უყვარდა შეგების ჟამსა, ალტაცებისას! ლომას დედა. უწინ რაც იყავ, ვინც გიყვარდა, აწ დაიფიცე! იგი შეიგენ, ვინც დღეს უნდა გულით გიყვარდეს! არ იზავ ამას? გაქნევიანებ, თამამო ქალო! ივერიკო. ადამიანო, შენი ენა სახიზღარია და შენი სახე წყველის ღირსი!—თვით დაიფიცეთ, რომ მე ოდესმე შევიქნები თქვენი მორჩილი და შეიგენით, უნდა ვიქნე თავისუფალი! არაფრად ვაქნე თქვენს აღთქმულსა ტახტსა და გვირ-გვინს,

არც არად მგამა უცხო არსის ხვევნა-აღერსი მე ჩემი მიყვარს, ჩემი სისხლი და ჩემი ხორცო! ქართლო. (თავისთვის მწუხარედ). ო, თავო ჩემო, უგუნურო, იყავ წყველი! ლომარაინდი. ო, რომ მაგ გულით ლომობიერად გადმოხმედავდე, ო, რომ მაგ გულსა, ქალო, ჩემკენ მოიბრუნებდე, თვით მე სასტიკი ლომობიერად გარდავიტყუოდი, ადამთა უცხო მოღვმის ხალხსაც შევიყვარებდი და შენსა ერსაც აღვადგენდი, ვუპატრონებდი! ივერიკო. (ამაყად). არ საჭიროობს ჩემი ერი შენს პატრონობას, არ საჭიროობს დამხობილი იგი შენს ზრუნვას! ერთხელაც არის ჩემი ერი თვითონ აღდგება და შეიქნება კვლავ პატრონი თავის თავისა! ჩემს ერს სულგამძლავ უცხო უყვარს, თუ იგი მოყვრობს, მაგრამ მტერს იგი შურსა აგებს და სიძულვილსა— და დღეს შენც გვძულხარ, შენ მტარავალი, მეც და ჩემს ერსაც! ერთი დაჰხედე მაგ შენს ხელებს! განა ეგ ხელი შენ არ შეგვგვრია ჩემის ერის უმანკო სისხლით? განა მაგ შენმა უღმობელმა, სასტიკმა გულმა არ დაატეხა ჩემს რჩეულს ერს შიში და ზარი? აწ ვით მოითხოვ, პატუნს გცემდე, ან შეგიყვარო? დღეს გვძულხარ, გვძულხარ შენ მტარავალი მეც და ჩემს ერსაც. ორივე ერთად ერთის გულით შენ წყველას გითვლით! ლომარაინდი. (ბრაზმოსული და შეურაცყოფილი). ჰკანდირებდები მეტის მეტად!—მეტს ვერ ავიტან!— (გაბრაზებული მიპყარდება, ხელს ხელში დაუქერს და ანუღრევს). უკანასკნელად გეუბნები, ნუ ურჩობ, ქალო, დაჰყე ჩემს ნებას! ივერიკო. (ცივად, მკეხედ). არა, არა! ათასჯე არა! ლომარაინდი. (სიბრაზისაგან გრძობა ყელში ებჯინება). შენი რაინდნი, ერთი მითხარი, რითი მჯობიან? იმათ, შენ ტურფას, გილაატეს, ვერ შეგიფერეს. იმათ რომ გულით ჰყვარებოდი, შენ დაგიცავდნენ, და მე კი, ჰხედავ, თავს გვევლები. ივერიკო. (აწყვეტიანებს). ხმა გულზევალო! (გრძობით აცრემლებული). ო, ამ სიტყვებმა უფრო მეტად გული მატკინეს! ჩემნო რაინდნო, საყვარელნო, ჩემნო, ძვირფასნო!

ქართლო. აწ აღარ ძალმობს მოთმინება!—ო, სინანული! ო, თავო ჩემო! რა გქენ! რა გქენ! ვაგლახ მე ბედერული! ლომარაინდი. ქალებს უბრძანე, დედაჩემო, გვირგვინი მოჰხსნან და ტანთ გაჰხადონ სადღეოფლო შესამოსელი! ჩააცვან მხეველის ტანსაცმელი, ამ სვეტს მიაკრან, აქვე ჩემს თვალწინ, ჩემს დარბაზში—ტახტის პირ-დაპირ— და ასე დარჩეს, ვიდრე თავი არ მოიხაროს! თუ კვლავ გაკერპდა, გამონახე სხვა რამ სასჯელი, აი, თუნდ მალა დაუკლდე წყლით საცხე თახი, თასს ჰქნოდეს ძირი გახვერტილი ძალიან წერილად, ასე რომ, ვიდრე ხუთს დავსთვლიდე აუჩქარებლად, ამ ურჩის თავზედ ვარდებოდეს ცივის წყლის წვეთი! თუ კვლავ გაკერპდა და არ დაჰყვა იგი ჩემს სურვილს, უფრო სასტიკნი სასჯელნი მე მომიპოვება— ვაწამებ! მოკვლა! დღეს შემდეგ აღარ დავიწოდებ, ჩემს გაუხარელ გულთან ერთად არ გაგახარებ! დაე ვიტანჯნეთ ორივე ერთად! დაე ვიტანჯნეთ! (გაბოროტებული ტახტზე დაემოხა). ქვეყნის მპყრობელმა ვერ დავიპყარ მე მისი გული? და, დაე, მოკვდეს, გაისრისოს ჩემი ურგები!—(მწუხარედ) გულო, არც მაშინ დავიწყებ, როს მისი სახე მოიფარება შენს არუფენას ოკუნეთისას? ერთი მხეველი. ეხლა ის ქალო მობრალემა! მეორე. მე შემიყვარდა! მესამე. მაინც თამამად იმზირ... უბოგო! ლომას დედა. მანდ რას ჩე... გამოიტანეთ დამონ... (ერთი მხეველი) ჩააქრეთ ყველაგ... იგი გომბიო სა... (ჩირალდ) ქართლო (როცა შმაგ შესდევქ? რომ შენ სწორე ეს ხე

(* „საქართველო“ №№ 13, 19, 25, 31, 36, 42, 48.

ხლებულ დეპუტატებისა, გალიციელ-ებისა; ნამბობია გაკვირით ახსრება აქა-რისა, დენა გალიციელ ებრაელებისა,

გარდა სიტყვა „ქართველისა“ და „საქართველოსა“. ეხლა უფრო ცხადია მი-ზნები ჩვენს ალმუთობისა. რუსეთის ერთა გრძელ სიიდან „ჩვენი“ დეპუტატების წყალობით ამოვიღო იქნა მხოლოდ ქართველი. ჩვენ ვუპასუხებთ: ვა-ბედული სიტყვა შესახებ ყველასი და ყველაფრისა, გარდა ქართველისა და საქართველოსი.

რაც შეეხება ჩვენს შავრაზმელობას, მოკლედ მოვკვირთ: ჩვენ იმ ქალაქუნა „ინტელიგენციას“ არ ვეკუთვნივთ, რომელსაც ასეთი გაცვეთილი სიტყვა თავ-ზარსა სცემს. წაფდა და აღარ დაბრუნ-დება ეს დრო, როცა ასეთ სიტყვას ბრბოში გასავალი ჰქონდა.

განთიადი ახლოვდება!

ძვირფასო ქართველნო, ძმანო აქა-რელნო!

ენახე თქვენი გადაბუებული, აწიოკე-ბული ტურფა მხარე.

ენახე თქვენი თვალცრემლიანი, ტან-ჯული, შეურაცხყოფილი, უსახლკარო და მხივტიალე ცოლშვილი.

გნახეთ თქვენ, საქართველოს ახლოვანო და ამაყნო შვილნო, მრავალ უბედურე-ბის წინ ქედ მოუხრებლნო ძმანო აქარე-ლნო.

გბედავდით ჩაგრულთ, გბედავდით ტანჯულთ და აღმფოთებულთ, ბრბო მო-რეული გაგძახოდი აქარის არეს:

— როდის დაგვიდგება, როდის ის ნეტარების დრო, როცა ჩვენ თქვენი უფროსი ძმები მივიზიდავთ, ცრემლს დაფარობით და თქვენს პაწია ლამაზ შვილებს გულში ჩავიკრავთ?

— მალე, მალე — მიჩურჩულდება ქო-რობის სიო:

განთიადი ახლოვდება! აგერ მისი პირველი სხივი — ქართველ ერის გაღვიძება.

აგერ მეორე — საქართველოს დაკარ-გულ შვილთა ძებნა.

აგერ მესამე — ამ დაკარგულთა კვლის აღმოჩენა.

ეს კვალი, სისხლით მორწყული და მრავალ ქართველ გვამით ფენილი, თქვენ-სკენ მოდის, ძმანო აქარელნო!

ძველად ძველ საქართველოს აკენისა-კენ — აქარა — ტაო — კლარჯეთისაკენ.

დღეს ამ კვალით მოვშურება საშვე-ლად თქვენი მშობელი ქრისტიანი ქარ-თველი ერი.

მაშ გაძნედილი! ნუ შედრკები! მოდის იგი..

განთიადი ახლოვდება!

დ. კახელი.

ახალი ამბავი

გაზეთი „მურის სიტყვა“ ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ სულ 24 ათასი ცალი დაბეჭდა „მურის სიტყვა“. 18 ათასია ქართული, ხოლო 6 ათასი რუსული. გაზეთი გუშინ გაეგზავნათ თბილისს გარეშე ხელის მომწერთ და თბილისში გასასყიდადაც გუშინვე დაუ-რიგდათ გამსყიდველების მოსურნეთ. როგორც უკვე ვწერდით, მოთხოვნილ-ება გაზეთისა გაცილებით მეტი იყო, მაგრამ ქალაქის უქონლობის გამო იქ-ტის დაბეჭდვა არ მოხერხდა. თბილისი-სათვის მხოლოდ 10 ათასი ცალია დატარებული, დანარჩენი სულ პროვინ-ციებში გაიგზავნა. ისეა მივარდნილი ადგილებიდანაც კი მოაზროვნეს გაზეთი,

როგორც, მაგალითად, ონი (170 ცალი), ლალიაში (65 ცალი), ხობი (130 ცალი), ოჩამჩირე (129 ცალი), კახი (30 ცალი), ხარაგაული (110 ცალი), ლიხაური (100 ცალი), ბოსლევნი (50 ცალი) და სხ. რაც შეეხება ქუთაისს, ბათუმს, ბაქოს, განჯას, ფოთს, გორს და სხ. ამათი მოთხოვნე-ლება დიდია. საკვირველია, რომ განთი სრულებით არ მოუთხოვიათ ოზურგეთს, სოხუმს და სიღნაღს. ეს რაღაც გაუგებ-რობით თუ აიხსნება! შეიძლება მათი წერილი დაიკარგა სადმე. აგრეთვე გა-ზეთი არ მოუთხოვიათ ხონის კოლეგია-ლურ დაწესებულებათ, არამედ კერძო კაცმა მოითხოვა 200 ცალი.

ქალბი მთავრად. ხარფუხის კლუბში ვიღაც ტერ-აბრამოვს, ერთ-ერთ ბანკის მოხელეს, ლოტოს თამაშის დროს სიყალბე შეამჩნიეს. ტერ-აბრა-მოვს ოქმი შეუდგინეს. აგრეთვე ეჭვი აღდგა ვიღაც ხაჩატუროვზე, რომელიც ტერ-აბრამოვს სიყალბეში ხელს უწყობ-დაო იმასაც ოქმი შეუდგინეს.

გამოქვეყნდა დახმარება. თბი-ლისის საკრებულომ 1000 მან. გადასდო გამოქვეყნდ სომხების სასარგებლოს.

